საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №1031

2006 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

„საწარმოთა (მათ შორის, ინდივიდუალურ საწარმოთა), არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის №717 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „საწარმოთა (მათ შორის, ინდივიდუალურ საწარმოთა), არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის №717 ბრძანებაში (სსმ III, 2006 წ., №88, მუხ.1180) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. ბრძანების დანართები №2; №3; №4; №5; №6; №13; №15 და №21 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანებას დაემატოს „ფორმა – „ინფორმაცია ინდივიდუალური საწარმოს შესახებ" (დანართი №27) და „მაღალმთიანი რაიონების სია, სადაც ინდივიდუალურ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრული აქვთ მოცემული რაიონის ტერიტორიაზე და მათ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცესებზე ვრცელდება განსხვავებული წესი" (დანართი №28) თანდართული რედაქციით.

3. ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა (მათ შორის, ინდივიდუალურ საწარმოთა), არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ფილიალების (წარმომადგენლობების) სახელმწიფო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის წესის შესახებ" ინსტრუქციის:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ი" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ი) კომპიუტიზირებული განყოფილება – საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს შესაბამისი რაიონული განყოფილება, რომელიც ჩართულია ადმინისტრირების ერთიან კომპიუტერულ ქსელში და უფლებამოსილია საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში განახორციელოს გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების შეტანა.";

ბ) მე-5 მუხლის მე-14, მე-15 და მე-16 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. უცხოური საწარმოს ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/აღრიცხვისათვის საგადასახადო ორგანოს განცხადებასთან (დანართი №11) ერთად წარედგინება:

ა) ცნობა ფილიალის ადგილსამყოფლის შესახებ;

ბ) უცხოური საწარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება საქართველოში ფილიალის (წარმომადგენლობის) გახსნის შესახებ, დამოწმებული ნოტარიულად;

გ) უცხოური საწარმოს (ლეგალიზებული) წესდების ასლი ან იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესდების შემცვლელი დოკუმენტი, დამოწმებული ნოტარიულად;

დ) ამონაწერი უცხოური საწარმოს სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის დოკუმენტებიდან (რეესტრიდან), დამოწმებული ნოტარიულად;

ე) გადაწყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, დამოწმებული ნოტარიულად.

15. საგადასახადო ინსპექციაში უცხოური საწარმოს ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/აღრიცხვისათვის ტარდება იგივე პროცედურები, რაც გათვალისწინებულია საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/ აღრიცხვისათვის, იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები შეიტანება №8 დანართით გათვალისწინებულ სამეწარმეო რეესტრის ფორმულარში.

16. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს კანონით დადგენილ საფუძველს საწარმოს ან/და მისი ფილიალის (წარმომადგენლობის), მათ შორის, უცხოური საწარმოს ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე/აღრიცხვაზე უარის თქმის თაობაზე, საგადასახადო ინსპექციაში ხორციელდება ის პროცედურები, რაც გათვალისწინებულია მოცემული ინსტრუქციის მე-16 მუხლში. საგადასახადო ორგანოს უარი სარეგისტრაციო მოწმობის გაცემაზე ან/და საწარმოს ან/და ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.";

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

გ) მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს კანონით დადგენილ საფუძვლებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და მისი ფილიალის (წარმომადგენლობის), მათ შორის, უცხოური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე/აღრიცხვაზე უარის თქმის თაობაზე, საგადასახადო ინსპექციაში ხორციელდება ის პროცედურები, რაც გათვალისწინებულია მოცემული ინსტრუქციის მე-16 მუხლში. საგადასახადო ორგანოს უარი სარეგისტრაციო მოწმობის გაცემაზე ან/და სახელმწიფო რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

დ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ინდივიდუალურ საწარმოთა სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის პროცედურები

1. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 5^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციას/აღრიცხვას ახორციელებს ინდივიდუალური საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ინსპექცია, რომელიც ვალდებულია შექმნას სამეწარმეო რეესტრი (დანართი №7). საგადასახადო აღრიცხვის მონაცემები შეიტანება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში.

2. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია ხორციელდება ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/აღრიცხვისათვის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადების წარდგენის შემდეგ, სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

3. ინდივიდუალური საწარმო სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/ აღრიცხვისათვის ვალდებულია სამეწარმეო საქმიანობის დაწყებამდე, მისი საქმიანობის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციაში წარადგინოს ნოტარიულად დამოწმებული განცხადება (დანართი №13) ორ ეგზემპლარად, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საფირმო სახელწოდებას. ინდივიდუალური მეწარმე საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს. საფირმო სახელწოდებას დაერთვება დამატებები, თუ ეს საჭიროა სხვა ფორმებისაგან განსასხვავებლად. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის შესახებ.

ბ) ინდივიდუალური მეწარმის სახელს, გვარს;

გ) მოქალაქეობას;

დ) საცხოვრებელ ადგილს (მისამართს);

ე) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოწმობის, პასპორტის) ნომერს, პირად ნომერს;

ვ) ინდივიდუალური საწარმოს ადგილსამყოფელს (საქმიანობის ადგილს);

ზ) ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერას.

4. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დაუშვებელია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა და წესით გათვალისწინებულის გარდა რაიმე სხვა დოკუმენტაციის ან ინფორმაციის მოთხოვნა.

5. ნებისმიერ პირს უფლება აქვს საგადასახადო ინსპექციაში დაუბრკოლებლად მიიღოს განცხადება, აგრეთვე თავისუფლად და უნებართვოდ გადაიღოს განცხადების ასლი.

6. განცხადების შესავსებად პირს უფლება აქვს გამოიყენოს ამ ინსტრუქციით დადგენილი განცხადების ფორმა ან განცხადების ასლი.

7. იმ ინდივიდუალური საწარმოებისათვის, რომელთა საქმიანობის ადგილი არ წარმოადგენს მოცემულ ინსტრუქციაზე თანდართული მაღალმთიანი რაიონების ტერიტორიას (დანართი №28), ან მისი საქმიანობის ადგილი ემთხვევა საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებული განყოფილების ადგილსამყოფელს, ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/ აღრიცხვისათვის ინდივიდუალური მეწარმე ან ინდივიდუალური საწარმოს წარმომადგენელი (უფლებამოსილი) პირი წარუდგენს (ან დაზღვეული წერილით უგზავნის) შესაბამის საგადასახადო ინსპექციას ან კომპიუტიზირებულ განყოფილებას (რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს) სანოტარო წესით დამოწმებულ ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესაბამის განცხადებას ორ ეგზემპლარად;

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს კანონით და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იგი დასტურდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით, რის შემდგომ მონაცემები შედის ინდივიდუალურ საწარმოთა სამეწარმეო (დანართი №7) და გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში, ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ფიქსირდება რეგისტრაციის თარიღი. მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული ბაზიდან ამოიბეჭდება მოცემულ ინსტრუქციაზე თანდართული ფორმა – „ინფორმაცია ინდივიდუალური საწარმოს შესახებ" (დანართი №26) (მონაცემი საქმიანობის სახეობების შესახებ

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

შეიტანება განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე) ორ ეგზემპლარად, რომლის სისწორესაც ხელმოწერით ადასტურებს განმცხადებელი და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი. რეგისტრაციის მონაცემები შედის ინდივიდუალურ საწარმოთა სამეწარმეო რეესტრში. რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოზე გაიცემა ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მოწმობა (დანართი №18), რომელსაც ხელს აწერს საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე ან სათანადოდ უფლებამოსილი პირი. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის განცხადების, ასევე კომპიუტერული ბაზიდან ამობეჭდილი ფორმის ერთი ეგზემპლარი რჩება საგადასახადო ინსპექციაში (გადამხდელთა მომსახურების სამმართველოში ან კომპიუტიზირებულ განყოფილებაში), ხოლო მეორე ეგზემპლარები უბრუნდება განმცხადებელს ან ეგზავნება დაზღვეული ფოსტით.

8. იმ ინდივიდუალური საწარმოებისათვის, რომელთა საქმიანობის ადგილს წარმოადგენს მოცემულ ინსტრუქციაზე თანდართული მაღალმთიანი რაიონების ტერიტორია (დანართი №28) (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმიანობის ადგილი ემთხვევა საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებული განყოფილების ადგილსამყოფელს, ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ინდივიდუალური მეწარმე ან ინდივიდუალური საწარმოს წარმომადგენელი (უფლებამოსილი) პირი წარუდგენს შესაბამის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს რაიონულ განყოფილებას ან შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს – მისი საქმიანობის ადგილის მიხედვით, სანოტარო წესით დამოწმებულ ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის შესაბამის განცხადებას, ორ ეგზემპლარად;

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს კანონით და ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ივსება განცხადების დანარჩენი მონაცემები, ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს (შესაბამისი რაიონის საიდენტიფიკაციო ნომრის დიაპაზონიდან), ადასტურებს ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით. ამასთან, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ავსებს მოცემულ ინსტრუქციაზე თანდართულ ფორმას – „ინფორმაცია ინდივიდუალური საწარმოს შესახებ" (დანართი №26) (მონაცემი საქმიანობის სახეობების შესახებ შეიტანება განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე) ორ ეგზემპლარად, რომლის სისწორესაც ხელმოწერით ადასტურებს განმცხადებელი და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი. მონაცემები შეაქვს ინდივიდუალურ საწარმოთა სამეწარმეო (დანართი №7) რეესტრში. რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოზე გაიცემა ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მოწმობა (დანართი №18), რომელსაც ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი პირი. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის განცხადების, ასევე შევსებული ფორმის ერთი ეგზემპლარი რჩება განყოფილებაში, ხოლო მეორე ეგზემპლარი უბრუნდება განმცხადებელს (გადაეცემა მოწმობასთან ერთად);

გ) მონაცემების სამეწარმეო რეესტრში ჩართვის შემდგომ წარმოდგენილი განცხადების ფორმა, აგრეთვე ფორმა – „ინფორმაცია ინდივიდუალური საწარმოს შესახებ" (დანართი №26) თვის 1, 11 და 21 რიცხვებში წარედგინება საგადასახადო ინსპექციის გადამხელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებულ განყოფილებას (წარდგენის ადგილი განისაზღვრება საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით), მონაცემების ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისა და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შეტანის მიზნით. მონაცემები მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში შეიტანება ფორმების წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. კომპიუტერულ ბაზაში მონაცემთა შეტანის შემდეგ, ინდივიდუალური საწარმოს განცხადება და ფორმა – „ინფორმაცია ინდივიდუალური საწარმოს შესახებ" (დანართი №26) უბრუნდება განყოფილებას ან შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო ასლები რჩება გადამხდელთა მომსახურების სამმართველოში ან კომპიუტიზირებულ განყოფილებაში.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ცალკეულ შემთხვევებში (ბუნებრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია განცხადების ფორმების წარდგენა დადგენილ ვადაში), დასაშვებია განცხადების მონაცემები ტელეფონოგრამის, ფაქსის ან სხვა საშუალებებით გადაეცეს შესაბამის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებულ განყოფილებას (დადგენილი პროცედურების ჩატარების მიზნით), რომელიც შემდგომში შესაძლებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარდეგინება შესაბამისი ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან კომპიუტიზირებულ განყოფილებას.

10. ინდივიდუალურ საწარმოთა სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაცია/აღრიცხვა ხორციელდება შესაბამისი განცხადების წარდგენიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. ამავე ვადაში საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე, სათანადოდ უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციის თაობაზე. თუ ამ ვადაში განმცხადებელს წერილობით არ ეცნობა უარის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილება, ინდივიდუალური საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად. საგადასახადო ინსპექცია, განყოფილება, შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხის-

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

მგებელი პირი (დადგენილ შემთხვევებში) ვალდებულია რეგისტრირებული ინდივიდუალური საწარმო გაატაროს რეგისტრაციაში დადგენილი წესით და მიანიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი. ინსპექციის უფროსი/მოადგილე სათანადოდ უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – გასცემს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მოწმობას.

11. ინდივიდუალური საწარმო რეგისტრირებულად (სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაცია/ აღრიცხვა) ითვლება მისი სამეწარმეო რეესტრში სათანადო მონაცემების შეტანის, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის გაცემის შემდეგ.

12. ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია ტარდება იგივე წესითა და ვადებში, რაც დადგენილია მისი პირველადი რეგისტრაციისათვის (საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეგისტრაციის დამადასტურებელი შესაბამისი მოწმობა).

13. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციისათვის/ აღრიცხვისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა გადასახდელი.";

ე) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. ფიზიკური პირების საგადასახადო ინსპექციებში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურები

1. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის – საქართველოს მოქალაქის, საგადასახადო აღრიცხვა (ფიქსირება) ხდება მისი საგადასახადო დეკლარაციის ან/და საბანკო დაწესებულებაში წარდგენილი გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების მონაცემების საფუძველზე. ფიზიკურ პირს – საქართველოს მოქალაქეს, გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური პირისა, გადასახადის გადამხდელის მოწმობის მისაღებად შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ფიზიკური პირი, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ფიზიკური პირისა, ვალდებულია საიდენტიფიკაციო ნომრის მისაღებად მიმართოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (დეკლარაციის წარდგენის ან გადასახადის გადახდის ადგილის მიხედვით) საგადასახადო ინსპექციას, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების (მათ შორის, მიმდინარე გადასახდელების) ან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადამდე არანაკლებ 10 დღით ადრე, ხოლო „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური პირი – ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში.

3. იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილი არ წარმოადგენს მოცემულ ინსტრუქციაზე თანდართული მაღალმთიანი რაიონების ტერიტორიას (დანართი №28), ან მისი საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებული განყოფილების ადგილსამყოფელს, ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ფიზიკური პირი საგადასახადო აღრიცხვისათვის წარუდგენს შესაბამის საგადასახადო ინსპექციას ან კომპიუტიზირებულ განყოფილებას (რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს) ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის შესაბამის დადგენილი ფორმის განცხადებას (ბრძანების დანართი №15);

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იგი დასტურდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით, რის შემდგომ მონაცემები შედის გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების დამუშავების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში, ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი. რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის შესაბამისი მოწმობა (დანართი №21), რომელსაც ხელს აწერს საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე ან სათანადოდ უფლებამოსილი პირი. ფიზიკური პირის განცხადება რჩება საგადასახადო ინსპექციაში (გადამხდელთა მომსახურების სამმართველოში ან კომპიუტიზირებულ განყოფილებაში).

4. იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა საქმიანობის ან საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს მოცემულ ინსტრუქციაზე თანდართული მაღალმთიანი რაიონების ტერიტორია (დანართი №28) (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებული განყოფილების ადგილსამყოფელს), ტარდება შემდეგი პროცედურები:

ა) ფიზიკური პირი წარუდგენს შესაბამის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს რაიონულ განყოფილებას ან შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს – მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე შესაბამის განცხადებას;

ბ) რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე. თუ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ივსება განცხადების დანარჩენი მონაცემები, ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს (შესაბამისი რაიონის საიდენტიფიკაციო ნომრის დიაპაზონიდან), ადასტურებს ხელ-

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

მოწერით და დადგენილი ნიმუშის ბეჭდით. რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციის შესაბამისი მოწმობა (დანართი №21), რომელსაც ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი პირი. წარმოდგენილი განცხადება რჩება განყოფილებაში;

გ) გადასახადის გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შემდგომ, წარმოდგენილი განცხადების ფორმა, თვის 1, 11 და 21 რიცხვებში წარედგინება საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებულ განყოფილებას (წარდგენის ადგილი განისაზღვრება საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით) მონაცემების საგადასახადო აღრიცხვის მონაცემთა დამუშავების ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შეტანის მიზნით. მონაცემები მონაცემთა დამუშავების კომპიუტერულ ბაზაში შეიტანება ფორმების წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. კომპიუტერულ ბაზაში მონაცემთა შეტანის შემდეგ, განცხადება უბრუნდება განყოფილებას ან შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო ასლები რჩება გადამ-ხდელთა მომსახურების სამმართველოში ან კომპიუტიზირებულ განყოფილებაში.

5. მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ცალკეულ შემთხვევებში (ბუნებრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია განცხადების ფორმების წარდგენა დადგენილ ვადაში), დასაშვებია განცხადების მონაცემები ტელეფონოგრამის, ფაქსის ან სხვა საშუალებებით გადაეცეს შესაბამის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან ამავე სამმართველოს კომპიუტიზირებულ განყოფილებას (დადგენილი პროცედურების ჩატარების მიზნით), რომელიც შემდგომში შესაძლებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარდეგინება შესაბამის ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ან კომ-პიუტიზირებულ განყოფილებას.

6. ფიზიკური პირის, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ფიზიკური პირისა, საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება შესაბამისი განცხადების წარდგენიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში. ამავე ვადაში საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე, სათანადოდ უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტი-ლებას გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე. თუ ამ ვადაში განმცხადებელს წერილობით არ ეცნობა უარის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილება, გადასახადის გადამხდელი ჩაითვლება რეგისტრირებულად. საგადასახადო ინსპექცია, განყოფილება, შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გადასახადის გადამხდელი გაატაროს საგადასახადო აღრიცხვაზე დადგენილი წესით და მიანიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი. ინსპექციის უფროსი/მოადგილე, სათანადოდ უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – გასცემს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის მოწმობას.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტებში მოცემული გადასახადის გადამხდელთა, საგადასახადო აღრიცხვის მონაცე-მებში ცვლილებების რეგისტრაცია ტარდება მათი საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით საგადასახადო ინსპექციებში, საგადასახადო აღრიცხვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ამ მუხლში მითითებული გადასახადის გადამხდელები საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანილად ითვლებიან საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის გაცემის შემდეგ. “.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

sanwarmo reestris formaluri (sanwarmo reestri)
SezRudulebis pasuxismgebloba sazogadoebebisaTvis

rigiTi nomeri	sawarmos (filialis) saxelwodeba	Aqciis saxeobis (iuridiuli pirebis)	registraciis (saidentifikacio) nomeri	registraciis TariRi (ricxvi, Tve, weli)	monacemebi partniobis (daxuZnebis) Sesaxeb						monacemebi direqtori(ebis) Sesaxeb		savaldebulo kapitali	direqtorebis warmomadgenlebis obiTi uflebamosili pirebis (xelmZRvanelebis) uflebamosili pirebis) mocemebi (aRw.)	savaldebulo warmomadgenlebis (prokuristebis)	monacemebi wevrebis dajrebis SesaxebSi				
					Tu daxuZnebeli iuridiuli pirebia		Tu daxuZnebeli fizikuri pirebia		partniobis (anG iuridiuli pirebis) wevrebis saxelebo kapitalSi		saxeli, gvari	saxovrebiTi adgili (misamarTi)				wevris saxeli	wevris odenobe	magrebiTi	movebis mocemebi	uzrunvelyofili moTxovnis	
					saxelwodeba (firma saxeli, etc)	adgili saxelmwifo (iuridiuli pirebis misamarTi)	saxeli, gvari	saxovrebiTi adgili (misamarTi)	Tanxa	%										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21

sanwarmo reestris formaluri (sanwarmo reestri)

solidaruli pasuxismgebloba sazogadoebebisaTvis

rigiTi nomeri	sawarmos (filialis) saxelwodeba	Aqciis saxeobis (iuridiuli pirebis)	registraciis (saidentifikacio) nomeri	registraciis TariRi (ricxvi, Tve, weli)	monacemebi partniobis (daxuZnebis) Sesaxeb		partniobis warmomadgenlebis obiTi uflebamosili pirebis (xelmZRvanelebis) uflebamosili pirebis) mocemebi (aRw.)	savaldebulo warmomadgenlebis (prokuristebis)
					fizikuri pirebis saxeli, gvari	fizikuri pirebis saxovrebiTi adgili (misamarTi)		
1	2	3	4	5	6	7	8	9

sanwarmo reestris formaluri (sanwarmo reestri)

http://www.matsne.gov.ge
pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

saaqcio sazogadoebisaTvis

rigiTi nomeri	saxelwodebis (firmis) da organizaciis saxelwodebis	Aqcionerebis raodenobis (jamurad da TiTeuli mflobelis mixedvit)	registraciis (sertifikatis) nomeri	registraciis TariRi (ricxvi, Tve, weli)	sawesdebo kapitali	aqciaTa saxeobebi, aqciaTa klasebi	monacemebi direqtori(eb)is Sesaxeb		direqtori(eb)is warmomadgenlebis (xelmZRvanelebis) mocemis pirobebi	sarwmunoebis warmomadgenlebi (proquristeebi)
							saxeli, gvari	saxovrebis adgili (misamarTi)		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

sanawilmo reestris formaturi (sanawilmo reestri)

komandituri sazogadoebisaTvis

rigiTi nomeri	saxelwodebis (firmis) da organizaciis saxelwodebis	Aqcionerebis raodenobis (jamurad da TiTeuli mflobelis mixedvit)	registraciis sertifikatis (ricxvi) nomeri	registraciis TariRi (ricxvi, Tve, weli)	monacemebi komanditebis Sesaxeb					monacemebi komplementarebis Sesaxeb		sawesdebo komplementarebis mier	sarwmunoebis warmomadgenlebi (proquristeebi) (saaqcio sazogadoebis SemTxvevaSi)
					juridiuli pirebis organizaciis saxelwodebis (dasaxelebis)	juridiuli pirebis aqcionerebis (juridiuli mflobelebis) raodenobis	fizikuri pirebis saxeli, gvari	fizikuri pirebis saxovrebis adgili (misamarTi)	komanditebis wevrebis raodenobis Sesaxeb	fizikuri pirebis saxeli, gvari	fizikuri pirebis saxovrebis adgili (misamarTi)		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

sanawarmo reestris formulari (sanawarmo reestri)

registrirebuli kooperativisaTvis

rigiTi nomeri	sawarmoebis (filialebis) saxelwodeba	Sedgili sampofeli (juridiuli pirebis mier Tu)	registraciis (identifikacio) nomeri	registraciis TariRi (ricxvi, Tve, weli)	sawesdebo kapitali	monacemebi direqtor(eb)is Sesaxeb		direqtorebis warmomadgenlebis (xelmZRvanelebis) uflebamosili pirebis saxelebi, gvarebi	sawevro warmomadgenlebi (prokurisტebi)
						saxeli, gvari	sacxovrebis adgili (misamarTi)		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

http://www.matsne.gov.ge
pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

fizikuri piris sagadasakado registraciis/cvl il ebis/

ganc x a d e b a

1. nregistrirebel i sagadasakado inspekciis dasaxel eba _____

2. informacia fizikuri piris Sesaxeb

gvari	saxel i	dabadebis (ricxvi, Tve, wel i)			saxlxovrebel i adgil i	mqal aqebis	piradobis damadastur e-bel i dokumenti	piradobis damadastur ebe-l i dokumentis nomeri	piradi nomeri (saidenti-fikacio nomeri)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

saxlxovrebel i adgil is safosto indeqsi

3. sakontaqto monacemebi

tel efoni	
el -fosta	

4. fizikuri piris anisi uflebamosil i piris xel mowera _____

(ricxvi, Tve, wel i).

5. saidentifikacio nomeri

6. registraciis/cvl il ebis TariRi

(ricxvi, Tve, wel i).

7. pirvel adi registracia

cvl il ebis registracia

8. saqmianobis saeb (NACE) kodi (Tu fizikuri piri emsa arasamarmo ekonomikur saqmianobas)

9. saqmianobis adgil i

saqmianobis adgil is safosto indeqsi

10. registraciaze pasuxismgebel i piris xel moweraa

(ricxvi, Tve, wel i).

ფიზიკური პირის საგადასახადო რეგისტრაციის/ცვლილების განცხადების შევსების წესი

საგადასახადო რეგისტრაციის განცხადება ივსება ფიზიკური პირის – გადასახადის გადამხდელის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების, გადასახადის გადამხდელთა რეესტრში ჩართვის ან საგადასახადო რეგისტრაციის განცხადების მონაცემებში ცვლილებების შეტანის მიზნით. განცხადება ივსება მიღებული წესების შესაბამისად, ერთ ეგზემპლარად (ინსტრუქციის შესაბამისად), დასტურდება შემვსები ფიზიკური პირის ხელმოწერით და ბარდება საგადასახადო ინსპექციას, სადაც ფიზიკური პირი დგება აღრიცხვაზე ან უკვე დგას აღრიცხვაზე ან ცვლილებები შეაქვს საგადასახადო რეგისტრაციის განცხადებაში.

საგადასახადო რეგისტრაციის განცხადების შევსების წესში მოცემული ნუმერაცია შეესაბამება საგადასახადო რეგისტრაციის განცხადების ნუმერაციას:

1. **მარეგისტრირებელი საგადასახადო ინსპექციის დასახელება** – ჩაიწერება იმ ინსპექციის დასახელება, სადაც ფიზიკური პირი – გადასახადის გადამხდელი დგება საგადასახადო აღრიცხვაზე ან მიმართავს ცვლილების განხორციელების თაობაზე. უჯრაში ჩანაწერი კეთდება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, სადაც მიენიშნება იმ რაიონის კოდი, რომელი რაიონის საიდენტიფიკაციო ნომრების დიაპაზონიდანაც უნდა მიენიჭოს

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

საიდენტიფიკაციო ნომერი.

2. ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ, სადაც მიეთითება:

ა) პირველ სვეტში – ფიზიკური პირის გვარი;

ბ) მე-2 სვეტში – ფიზიკური პირის სახელი;

გ) მე-3, მე-4 და მე-5 სვეტში – ფიზიკური პირის დაბადების თარიღი, შესაბამისი თანმიმდევრობით;

დ) მე-6 სვეტში – ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) მე-7 სვეტში – ფიზიკური პირის მოქალაქეობა. თუ ფიზიკურ პირს არ გააჩნია მოქალაქეობა – მიეთითება „მოქალაქეობის არმქონე პირი“;

ვ) მე-8 სვეტში – ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება;

ზ) მე-9 სვეტში – ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი;

თ) მე-10 სვეტში – ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ფიქსირებული პირადი ნომერი (საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში, რომელიც მის პირველადი რეგისტრაციის შემთხვევაში წარმოადგენს მის საიდენტიფიკაციო ნომერს);

ი) საცხოვრებელი ადგილის საფოსტო ინდექსი – უჯრებში ჩანაწერი კეთდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის მითითების შემთხვევაში, სადაც ჩაიწერება ოთხნიშნა საფოსტო ინდექსი.

3. საკონტაქტო მონაცემები – შეიტანება უჯრებში მითითებული შესაბამისი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ფიზიკური პირის ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა – განცხადებას ხელს აწერს უშუალოდ განმცხადებელი ამ მისგან უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, უთითებს ხელმოწერის თარიღს (რიცხვს, თვეს, წელს).

5. საიდენტიფიკაციო ნომერი – მიეთითება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის მინიჭებული 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი (პირველადი რეგისტრაციისას ავსებს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი). თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს და იგი ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, მის საიდენტიფიკაციო ნომერს წარმოადგენს პირადობის მოწმობაში ფიქსირებული პირადი ნომერი, რომელიც აღინიშნება მე-2 სტრიქონის მე-10 გრაფაში და აღნიშნულ შემთხვევაში მოცემული სტრიქონი არ შეივსება.

6. რეგისტრაციის/ცვლილების თარიღი – პირველადი რეგისტრაციისას მიეთითება საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობაზე, ხოლო ცვლილების რეგისტრაციისას – ფიქსირებული თარიღი.

7. პირველადი რეგისტრაცია/ცვლილების რეგისტრაცია – თუ განცხადება წარმოდგენილია პირველადი რეგისტრაციისათვის, მაშინ შესაბამის უჯრაში კეთდება აღნიშვნა „v“, ხოლო ცვლილების რეგისტრაციისას, იგივე აღნიშვნა კეთდება შესაბამის უჯრაში.

8. საქმიანობის აღწერა (თუ ფიზიკური პირი ეწევა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას) – ივსება იმ შემთხვევაში, როცა ფიზიკური პირი (გარდა ინდმეწარმისა) ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. ჩანაწერი კეთდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. საქმიანობის სახეების კოდების აღმნიშვნელ უჯრებში მიეთითება შესაბამისი კოდები. პირველ რიგში მიეთითება ძირითადი საქმიანობის აღმნიშვნელი კოდი, ხოლო შემდეგ სხვა საქმიანობები, მოცულობიდან გამომდინარე (კლებადობის პრინციპით).

9. საქმიანობის ადგილი – მიეთითება საქმიანობის ადგილის მისამართი, საქმიანობის ადგილის საფოსტო ინდექსი (როცა ფიზიკური პირი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას).

10. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა – რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი თავისი ხელმოწერით ადასტურებს ფორმის მონაცემების სისრულეს და უთითებს ხელმოწერის თარიღს (რიცხვს, თვეს, წელს).

შენიშვნა: გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებებზე განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, განმცხადებელმა აუცილებლობის წესით უნდა შეავსოს განცხადების პირველ, მე-2 (პირველი და მე-2 სვეტი) და მე-5 პუნქტებში მითითებული მონაცემები, ხოლო სხვა პუნქტების მონაცემებიდან შეივსება მხოლოდ ის პუნქტები, სადაც წარმოეს ცვლილების შეტანა საწარმოს/ორგანიზაციის სარეგისტრაციო მონაცემებში, ხოლო უცვლელ გრაფებში მონაცემების ნაცვლად მიეთითება აღნიშვნა – „იგივე“.

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

gadasaxadis gadanacdel is sagadasaxado registraciis mo wmo b a

seria . . # . . . . . .

. . . . . .
(gadanacdel is dasaxel eba anfiziluri piris saxel i, gvari)

(saidentifikacio nomeri)

gadasaxadis gadanacdel i sagadasaxado aRricxvaze ayvanil ia

. . . . . .
(ricxvi, Tve; wel i)

gadasaxadis gadanacdel is adgil sanyofel i . . . . . .
(iuridiul i misamarTi anfiziluri piris
saxovrebel i adgil i)

sagadasaxado inspeqciis dasaxel eba, sadac gadasaxadis gadanacdel i inyofeba
sagadasaxado aRricxvaze . . . . . .

sagadasaxado inspeqciis
(ganyofil ebis) ufrosi

gadasaxadis gadanacdel i

/xel moweraf

/xel moweraf
(ricxvi, Tve; wel i)

SeriSvna im SemTxvevaSi, Tu gadasaxadis gadanacdel s eriWeba 9-riSna saidentifikacio nomeri, maSin saidentifik nomis Sesaxebi ujredis pirvel damoreujraSi SeitanebaaRriSvna `X~;

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com



დანართი №28

მაღალმთიანი რაიონების სია, სადაც ინდივიდუალურ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს საქმიანობის ან საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრული აქვთ მოცემული რაიონის ტერიტორიაზე და მათ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცესებზე ვრცელდება განსხვავებული წესი

1. ბათუმის საგადასახადო ინსპექცია
ა) ხულოს რაიონი;
ბ) შუახევის რაიონი;
გ) ქედის რაიონი.

2. ახალციხის საგადასახადო ინსპექცია
ა) ადიგენის რაიონი;
ბ) ასპინძის რაიონი;
გ) ახალქალაქის რაიონი;
დ) ნინოწმინდის რაიონი.

3. თელავის საგადასახადო ინსპექცია
ა) ახმეტის რაიონი.

4. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია
ა) დმანისის რაიონი;
ბ) წალკის რაიონი.

5. გორის საგადასახადო ინსპექცია
ა) თიანეთის რაიონი;
ბ) ყაზბეგის რაიონი.

6. ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com

ა) ამბროლაურის რაიონი;
ბ) ლენტეხის რაიონი;
გ) ონის რაიონი;
დ) ცაგერის რაიონი.

7. ფოთის საგადასახადო ინსპექცია

ა) მესტიის რაიონი;
ბ) ჩოხატაურის რაიონი.

pd4ml evaluation copy. visit http://pd4ml.com